№ 306. კვირა, 7 სექტემბერი 1896-1897 კვირა, 7 სექტემბერი, № 306.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცელი"
1 ენკენისთვიდან წლის დამლევამდე
ღირს 2 მან. 40 კაპ.
„საქართველოს კალენდარით"

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ც. მ. ჩაქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ფ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. შ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. რ. ბურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით
ა. მ. შულინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ბანკის საზაფხულო ბაღი
გიორგი სხირტლამისა
თავად-აზნაურობის მამულში (ქარვასლაში)
ყოველ-დღე ბაღში სეირნობა და თავ-შესაქცევებია გამართული
დღისით შუადღიდან უკრავს სამხედრო მუსიკა
საღამოობით ნაშუაღამევამდე იმართება მრავალი შესაქცევი და მოსალხინებელი სიმღერები, თამაშობა, კუპლეტები, ცეკვა და სხვა, რისთვისაც მოწვეულია მომღერალ ქალთა და ვაჟთა საგანგებო ხორო, კუპლეტისტები, სცენების წარმომადგენელნი და სხვა
ბაღში მუდმივ იშოვება: სასმელები
საუზმე, სადილი, ვახშამი ყოველნაირი
!!იაფობა ყველაფერზე!!
ხორაგი მუდამ ახალია, მოსამსახურე მარდი და თავაზიანი.
„Банковскій Садъ" Г. Н. Схиртладзе
ОБѢДЫ, УЖИНЫ, ЗАКУСКИ.
ЕЖЕДНЕВНО АРТИСТИЧЕСКІЯ РАЗВЛЕЧЕНІЯ
(10—9)

ექიმი კ. კ. თოფურიძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე
დილით—8—10 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე
ხოლო სამშაბათსა, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი
ღარიბებს უსასყიდლოდ სწამლობს
ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)
ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ
Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—10)

სასწავლებელი და პანსიონი
ა. ტერ-აკოფოვისა
მოწვეულია უმაღლესს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მასწავლებლები სპეციალისტები და 1 ენკენისთვიდან იყვანს მოწაფეებს, როგორც სასწავლებელში მოსამზადებლად, აგრეთვე სასწავლებელში მყოფთა დასახმარებლად გიმნაზიებისა, რეალურისა და სხვა სასწავლებლების მოწაფეთა მე-5 კლასამდე.
იქვე მიიღებიან პანსიონერებად სხვა სასწავლებლების მოწაფენიც.
ქართველებს ქართულს ენას ასწავლის სიონის ტაძრის მღვდელი ანტონ თოთიბაძე.
ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11, მესამე გიმნაზიის გვერდზე.
УЧИЛИЩЕ и ПАНСІОНЪ
А. Теръ-Акопова
Тифлисъ, Гановская № 11 (10—3)

თავ. დიმიტრი მაჩუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ფიცის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჩუტაძეს.
ფოსტის ადრესი: Батумъ, кн. Дим. Мачутадзе, ანუ Очемчиры, Т. Чачава.
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—183)

მკურნალი
მიხ. გედევანიშვილი
დილით 11—1 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი პაპოვისა № 29.
(5—2)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავად მყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ბერრატი.
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა"
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

5 სექტემბერი

ბერლინი. იმპერატორი ვილჰელმი, ამბობენ, ოქტომბრის დასაწყისში ინგლისის დედოფალს ვიქტორიას ინახულებსო.

სიმლა. მდინარე ფანიხორის გაღმა მხარეს თავს დაესხნენ მაჰმადიანები ინგლისის ჯარს, რომელსაც ღენერალი ჯეფრისი უფროსობდა; ინგლისელთაგან ორი ოფიცერი და ორიც ჯარის-კაცი მოჰკლეს, ხოლო ერთი ოფიცერი და ხუთი ჯარისკაცი მძიმედ დაჭრეს.

ლონდონი. აქ ხმები დადის, რომ ის ამბავი, ვითომ დიდ-სახელმწიფოთა შორის შეთანხმება მომხდარიყოს, ჯერ უდროვოდ არის გავრცელებულიო, მთავრობა ჯერჯერობით დაბეჯითებით ვერაფერს იტყვის, ხოლო არწმუნებენ საზოგადოებას, რომ მოლაპარაკებას სასურველი ბოლო ექმნება.

პარიზი. ჰანოტომ სიამის მეფის პატივსაცემლად, 4 ენკენისთვეს, სადილი გამართა, რომელზედაც დაესწრნენ: მინისტრნი, ღენერალნი, ადმირალნი და სადიპლომატო კორპუსის წევრნი.

სტამბოლი. 4 ენკენისთვეს თოფხანეში თათბირი იყო.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **ბ. მთავარ-მართებლის დაბრუნება ქ. ტფილისში.** გუშინ, 6 ენკენისთვეს, საღამოს ჩამობრძანდა ყარსის ოლქიდამ ტფილისში ბ. კავკასიის მთავარ-მართებელი ღენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი.

⁂ **ბ. ტფილისის გუბერნატორის განკარგულება.** ბ. ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ბ. პოლიცმეისტერს, რომ მან დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ყველა საქველ-მოქმედო საზოგადოებათა 1896 წლის დაწვრილებათა ანგარიშები.

⁂ **რკინის გზის ახალი შტო.** გაზ. „კავკაზს" დეპეშითატყობინებენ პეტერბურგიდამ: „გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება შესახებ იმისა, რომ ბორჯომიდამ ბაკურიანამდე და სოფ. დაბიდამ ცაგვერამდე გაშენდეს ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა.

⁂ **სოფლელების სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლება.** რადგან ამჟამად ტფილისის გუბერნიაში გავრცელებულია საქონლის ჭირი და სოფლელებს არ შეუძლიანთ ჯარისკაცთა ბარგის გადასატანათ გამოიყვანონ ხარ-ურემი, ბ. ტფილისის გუბერნატორს შუამდგომლობა აღუძრავს ბ. მთავარ-მართებლის წინაშე, რომ წელს ამ მოვალეობისაგან განთავისუფლებულ იქმნენ ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობაო.

⁂ **სასჯელი ბარამ შაბურიშვილის მოკვლის გამო.** ტფილისის ოლქის სასამართლომ, ქ. დუშეთში, ბარამ შაბურიშვილის მკვლელებს შემდეგი მიუსაჯა: აზნ. დავ. კეზელს—ყოველივე ღირსების აყრა და საცხოვრებლად ტობოლსკის გუბერნიაში გადასახლება სამუდამოდ; გლეხს მახარაშვილს—ერთის წლით პატიმართა რაზმში ყოფნა. სამოქალაქო საჩივარი ბარამ შაბურიშვილის ქვრივისა და შვილისა არ დააკმაყოფილა სასამართლომ.

⁂ **სომხური ჟურ. „არარატის" დაქვემდებარება საზოგადო ცენზორისადმი.** უმაღლესი ბრძანებით სომხური ყოველ-თვიური ჟურნალი „არარატი", რომელიც სომხთა კათოლიკოსის ნება-რთვით გამოდიოდა, ამას აქეთ უნდა საზოგადო ცენზურის წესდებას დაექვემდებაროს. კათოლიკოსმა უნდა უჩვენოს მთავრობას პასუხის მგებელი ცენზორი ამ სამსახურში დასამტკიცებლად. ცენზური უნდა ტფილისში იმყოფებოდეს.

⁂ **საკომერციო სასწავლებლის წესდების პროექტის მოწონება.** ,,ტ. ფურც.'' ატყობინებენ პეტერბურგიდამ, რომ შვიდ კლასიანი საკომერციო სასწავლებლის წესდების პროექტი ტფილისელ მოვაჭრეთაგან წარდგენილი, გაისინჯა და მოწონებულ იქმნა ფინანსთა სამინისტროსაგანაო.

⁂ **ყმაწვილის მოკვლა.** 27 აგვისტოს, ს. ზემო ნიქოზის, გორის მაზ., მცხოვრებელმა 16 წლის სოსო მჭედლიძემ ჩხუბის დროს მოკლა სოფ. საცხენისის მკვიდრი, ზემო ნიქოზში დროებით მცხოვრებელი 14 წ. მიხა ბიძინაშვილი.

⁂ **დამოკიდებულება მღვდელსა და მრევლს შორის.** ნეტა როდის იქნება მოისპოს უთანხმოება მრევლსა და მღვდლებში? ბევრს კიდევაც გაუკვირდება ამ სიტყვების გაგონება და უნებლიედ იკითხავს: განა მრევლსა და მღვდელს შორის შეიძლება უთანხმოებაო? მეც თქვენის აზრისა ვარ. არ უნდა იყვეს ეს უთანხმოება, რაიც დიდი მავნებელია. მღვდელი, რომელიც უნდა ჰქადაგებდეს ერთობას, ძმობას და სიყვარულს, თითქმის არღვევს ყველა ამაებს და თითონ უფრო ცუდს მაგალითს აძლევს ხალხს ცხოვრებაში. ვისი ბრალია მერე? განა მღვდელი ვერა ჰგრძნობს ამაებს და განა იგი სულით არ იტანჯება, როდესაც ძალა-უნებურად თავისის მიმართულების წინააღმდეგ მიდის? მე ვლაპარაკობ სოფლის მღვდელზე, რომელსაც საქმე აქვს გაუნათლებელ გლეხკაცობასთან. როგორს შემაძრწუნებელს მდგომარეობაშია ზოგიერთა მღვდელი,—რომელსაც აურებელი სახლობა ჰყავს,—უნდა იფიქროს შვილების აღზრდაზე, თავისის ცოლშვილის შენახვაზე და მისი ცხოვრება-კი დამოკიდებულია თავისს სამრევლო გლეხ-კაცობაზე, რომელთაც თითონ გასჭირებიათ თავის შენახვა და ახლა სხვა გაუხადეთ შესანახი.

ზოგჯერ ისეთი მოუსავლობაა პურისა, ღვინისა და ყველა მიწის ნაყოფიერებისა, რომ გლეხს არაფერი აქვს წლის საზრდო და ამისთანა გლეხთან მიდიან სახელმწიფო მოხარჯეები, მღვდელი და სხვა მოვალეები; რომელ ერთს უნდა გასცეს პასუხი! მიდის მღვდელი და ეხვეწება-ემუდარება გლეხს: შვილო მომეცი ჩემი გასამრჯელო, მთელი წელიწადი გემსახურები; შენი მლოცველი ვარ, შენ კარგათ იცი, რომ მე სამუშაოთ სხვაგან ვერ წავალ, ვერა ვხნავ და ვერა ვთესავ. ეს ერთი წელიწადი როგორც იყო გამოვიყვანე ჩემი სახლობა რის დუხჭირობითო, რა გაჭირვებით, ახლა აიღე შვილო და მომე ჩემი კოდი პურიო. რას ამბობ, მღვდელო, შენთვის ვისა სცალიან—ყველას თავისი თავი გასჭირვებია. საშენო პური ვისა აქვსო. ერთი-ორი კოდი პური მაქვს, ჩემთვისა მაქვსო. რა ჰქნას! ძალით წაართვას—გლეხი ბრაზზე მოსულია, აიღებს ჯოხს და თავში სდრუზავს, თუ არა და უნდა გამობრუნდეს ისე ხელ-ცარიელი. ზოგჯერ მღვდელი ძალით ართმევს, მოსდით ერთი უსიამოვნება მღვდელსა და მრევლს და ღმერთმან უწყის, რით გათავდება. როდის იქნება ეღირსოთ მღვდლებს ჯამაგირი, რომ აიცდინონ თავიდან ეს უსიამოვნება.

თომა კახელი.

⁂ **„საპარიკმახეროს“ ხელოსან ქარგალთა მდგომარეობა.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულ გაზეთის ერთ-ერთს ნომერში ამოვიკითხე ამას წინად წერილი ერთის მოსამსახურეთაგანისა, რომელმაც გულ-დასმით აგვიხსნა ყოველივე უკიდურესი მდგომარეობა მოსამსახურეებისა.

ხსენებულმა წერილმა მომაგონა თვით ჩვენივე სამწუხარო მდგომარეობა, რომელიც არა ნაკლებ საყურადღებოა სხვებთან შედარებით. მე მოგახსენებთ ეგრედ წოდებულ „პარიკმახერების ქარგლებზე“, რომელთა მდგომარეობა ბევრს მწარედ დააფიქრებს. დიდს შრომასა და ჯაფას რომ თავი დავანებოთ, სამწუხარო ის არის, რომ ამ უკანასკნელს ხანებში ლოთობა და სხვა ბევრი უსაძაგლესი ჩვეულებები გავრცელდა ჩვენის ხელობის ქარგლებში. ამის მიზეზი გახლავთ ჩვენის ალა-ბატონების უკულმართობა და თან, რა თქმა უნდა, ჩვენი დაუდევრობაც.

ჩვენი სამუშაო „მაღაზია“ იღება დილის 6 საათზე და, როგორც ყველას მოეხსენება, საღამოს თერთმეტ და ხან თორმეტის ნახევრამდე ღია არის. აქედამ აშკარადა სჩანს, რომ ჩვენი საქმის ხელოსანი დღეში მეცადინეობს 17 საათს. ამ 17 საათში ჩვენს თითო ქარგალს შეხვდება საშუალო ანგარიშით ათი თუ ხუთმეტი კაცის თავის გაკრეჭა და მოპარსვა. რა თქმა უნდა, ამასობაში თავისუფალი დროც გამოერევა ხოლმე. მაგალითად, ერთს „საპარიკმახეროში“ მუშაობს 4 ქარგალი. ამათ რომ ყველამ ხუთმეტ-ხუთმეტი მუშტარი დააკმაყოფილონ დღეში, ეს შეადგენს 60 მუშტარს. თითო მუშტრის თავის გაკრეჭასა და მოპარსვაზე ქარგალი ბანდება 20—30 წუთს. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ სულ უკანასკნელი 7—8 საათი სამუშაო გვქონია, ხოლო დანარჩენ 9—10 საათს-კი ტყუილ-უბრალოდ ვატარებთ სახელოსნოში ხან თვლემით და ხან უფრო ურიგოდ.

აი, აქ არის ჩემი პირველი საკითხი—რა ვაკეთოთ ისეთი ამ ხნის განმავლობაში და როგორ მოვიხმაროთ ის დრო, რომელიც ჩვენს ხელთ არის და „ალა-ბატონებსაც“ არად არგია.

ამაზე, ვიცი, ყველა გვიპასუხებს: იკითხეთ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები თავისუფალ საათებშიო! ნეტავ თქვენს ლხენას, აგრე იყოს!

თუმცა ჩვენ ალა-ბატონებს შორის არიან ისეთი გულ-წრფელნი და კეთილის მოყვარენი, რომელნიც ყოველ თანაგრძნობას უწევენ ქართულ მწერლობას და შეძლების დაგვარად ცდილობენ წაახალისონ ქარგლები წერა-კითხვაზე და განვითარებაზე, როგორც მაგალ.: დ. გაბრუაშვილი, დ. მხეიძე, კ. ცქიფურიშვილი და კიდევ ორიოდე სხვანი, მაგრამ არიან ისეთი პირნიც, რომელთაც მუცელი ,,არყის ბოჩკათ'' გადაქცევიათ და ჟურნალ-გაზეთის წაკითხვა დიდ ცოდვად მიაჩნიათ და კიდეც უკრძალავენ თავის საბრძანებელს ქვეშ მყოფ ხელ-ქვეითებს. მე ვიცნობ ერთს ალა-ბატონს, რომელსაც აფიშაც-კი ეჯავრება, რადგანაც გაზეთი ჰგონია.

აქედან ბატონებო ადვილად მიხვდებით, თუ რა ჩვეულება უნდა შეითვისონ ამნაირ პირობებში მყოფმა ახალ-გაზრდა ქარგლებმა, რომელნიც მრავლობით რიცხვს შეადგენ ტფილისში თუ სხვა ადგილებში.

სასურველია, რომ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ ჩვენნი გულ-შემატკივარნი და რამ წამალს დასდებდნენ ,,საპარიკმახეროში'' მუშა ხალხს—ქარგლებს.

ქარგალთაგანი.

⁂ **ერთის ფრიად სასარგებლო მცენარის გამო.** თრიმლი ერთი სასარგებლო მცენარეთაგანია, რომელიც ბლომად მოიპოვება ქიზიყ მინდორ-ველებში—ტარიბანასა და შირაქში. ეს მცენარე ზოგიერთ იზრდება და შედარებით წვრილი ფოთოლი ასხია. გაზაფხულ-ზაფხულობით აურებელი მუშები სჭრიან ამ მცენარეს ნამგლის მსგავსის პატარა დანებით, შემდეგ მზეზე აშრობენ, ბოლოს აყრევინებენ ფოთოლს და ამ უკანასკნელს ტომრებით ჰგზავნიან წისქვილებში დასაფქვავად.

დაფქული და ქისაში ჩატენილი თრიმლი კარგა ძვირათა ფასობს—ფუთი 7—8 აბაზიდან სამანათამდის ადის, ხოლო განჯას და ნუხაში, ამბობენ, მეტად ღირს. სადაც, სხვათა შორის, გააქვთ ქიზიყში მომზადებული თრიმლი. მე არ ვიცი, ჩვენს ქვეყანაში სხვაგან კიდევ სად არის გავრცელებული ეს მცენარე, ეს კი მითხრეს სიღნაღელმა თრიმლის მწარმოებლებმა, რომ რაჭაში საუცხოვო თვისების თრიმლიაო, რომლის სარგებლობა-მოხმარების გაგება სრულებით არა აქვთ იქაურებს.

ერთს ნუკრიანელს მეთრიმლეს შარშან [illegible] რაჭაში ერთი თრიმლოვანი, მაგრამ სარგებლობა დიდი ვერ ნახა, რადგანაც თრიმ-

გაზეთები ამერიკაში

შინაარსი ამერიკის გაზეთებისა და განცხადებანი

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ ახერხებენ ამერიკელები მილიონების შეძენას გაზეთის საშუალებით. ცხადია, რომ ცარიელ ქაღალდს გაზეთისას არავინ იყიდდა; იყიდება მაშასადამე შინაარსი გაზეთისა; აბა კიდეც საინტერესოა ამ შანაარსის გაცნობა, რადგან იგი ჰბადავს მილლიონებს, ან „აკეთებს ფულებს'', როგორც ამერიკელები ამბობენ.

გაზეთის მკითხველი საზოგადოება ამერიკაში ისეთი როდია, როგორც ჩვენში ანუ ევროპაში. რაც მოსწონს ევროპიელ მკითხველს, ის არ მოეწონება ამერიკელს.

აგერ, მაგალითებრ, დარბაისელი ინგლისელი... ის ჩაჰკვირვებია გაზეთს, თითქოს უნდა შეჭამოს ქაღალდიანად. ინგლისელი გადიკითხავს გაზეთს პირველ სტრიქონიდგან უკანასკნელამდე. დიდის ინტერესით გადიკითხავს მოწინავე წერილს, დაკვირვებით ჩაავლებს თვალს პარლამენტისა და სასამართლოს მატიანეს, გულ დადებით გადიკითხავს კორესპონდენციებს, ერთის სიტყვით, ყოველიფერს რაცკი „მისს'' გაზეთში სწერია. ყოველს ინგლისელს შეყვარებული აქვს ერთ-ერთი გაზეთი, ,,თავისს'' გაზეთს ეძახის მას; იგი გაზეთი არის მისი ბიბლიოთეკა, მისი ისტორია, ენციკლოპედია, პოემა, რომანი, კალენდარი. ის თავისს გაზეთში ჰპოვებს ბიოგრაფიასაც, ბიბლიოგრაფიასაც, ნარევსაც. მოკლედ რომ ვსთქვათ, არას დასტოვებს ინგლისელი წაუკითხველს ,,თავისს'' გაზეთში.

ფრანგული მწერალი ართობს თავის მკითხველებს ოხუნჯობით, მშვენიერის რომანით, ნაკვესებით. ყოველ გაზეთის მეთაურად გამხდარა რომელიმე დევ-გმირი პუბლიცისტიკაში, რომელიც მუდამ ჟამს იმის ცდაშია, რომ ყველაზედ მაღლა ამართოს დროშა თავისის დასისა. ახალ-ამბებს ბევრს და დროზედ ჰბეჭდავენ. უყვართ პოლიტიკური ჭორების გარევაც.

სულ სხვა ნაირია ამერიკული გაზეთი. იგი წარმოადგენს უფრო პროტოკოლს ყოველ დღიურ ამბებისას, ვიდრე ჩვენებურს გაზეთს. ამერიკული გაზეთი წააგავს სარკეს, სადაც სჩანს ყოველ გვარი ახალი ამბები წინადღეს და იმ დღეს მომხდარი ქვეყნიერობაზედ... და მეტსაც ველარას დაინახვთ! ამერიკული გაზეთი პოლიტიკასაც მისდევს და თვითეულს განსაზღვრილი აქვს მტკიცედ თავისი პოლიტიკა. მხოლოდ პოლიტიკოსობა გაზეთებისა იქ სხვანაირია. იქ პოლიტიკას ჰქმნიან პარლამენტის ორატორები, სხვა და სხვა დაწესებულებათა მეთაურები; იქაური პოლიტიკოსი პირდაპირ ხალხს ელაპარაკება და აქვე ჰქმნის თავისს პოლიტიკას; გაზეთის საშუალებით აზრების გადატარება მისთვის საჭირო არ არის. ამიტომ ამერიკის გაზეთი პოლიტიკის მეთაური-კი არ არის, ის მისდევს უკან პოლიტიკას; ის აცხადებს პოლიტიკურს პროგრამმას ამ თუ იმ ორატორისას, ჰბეჭდავს მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას და სხ.

ამერიკელს პოლიტიტიკოსს რედაქციაში ვერა ნახავთ; მისი ადგილია კრება, სხდომა, პარლამენტი. მართალია, ხშირად გაზეთებიც სწერენ პოლიტიკურს მეთაურებს, ხოლო ამ მეთაურებს არავინა კითხულობს. ყოველი ამერიკელი ფიქრობს, მას აქვს საკუთარი პოლიტიკური რწმენა და მეთაურების კითხვა სულ მეტი ბარგია. იქაური მკითხველი აქცევს ყურადღებას მხოლოდ ფაქტებს; ამიტომაც გაზეთები პირამდის გავსილია ყველანაირის ფაქტებით.

ასეთი პროტოკოლური ხასიათი გაზეთისა, თითქოს, უნდა ეუცხოვებოდეს მკითხველს და არ ჰგვრიდეს ინტერესს კითხვისას. სულაც არა! მკითხველი ცახცახით და კანკალით ელის გაზეთს, რომ გადიკითხოს ახლი ამბები. გაზეთს ამერიკელი ისე შეეჩვევა, როგორც ლოთი სასმელს. მოკალ და უგაზეთოდ-კი ნუ დასტოვებ ერთს დღესაც.

ახალი ამბავი და ახალი შემთხვევა! ფაქტები და ფაქტები!.. ტელეგრაფი და ტელეფონი—აი თანამშრომლები ამერიკულ გაზეთისა. იდეა და მისთვის ბრძოლა უცხოხილია ამერიკულ გაზეთისთვის. ამისთვის იქ ვისა სცალიან, და ან ვინ წაიკითხავს ასეთს გაზეთს. აქ ყველა ჩქარობს ,,ფულის გაკეთებას''.

უილიამ ბრაიენი (აწ გარდაცვალებული) მოტრფიალე იყო იდეებისა, იდეალისტი იყო. იგი ურჩევდა ახალთაობას, ჯერ ეშოვათ ფული, დამოუკიდებელი ცხოვრება და მერე შესდგომოდნენ მწერლობას, რომ ფულისა და ლუკმა პურის გულისთვის არ დაემცირებინათ თავიანთი რწმენა და აზრები. ბენნეტი, მეორე მწერალი, ამობდა: ჩემი პირველი ცდაა ,,გავაკეთო ფულებიო''. მერე, რაკი ფულებს ვიგდებ ხელთ, რეპორტერებსაც ვიშოვნი—ვიქირავებ და საუკეთესო მწერლებსაცო.

პირველმა, ბრაიენმა, მთელი სიცოცხლე იღვაწა იდეებისთვის და ბოლოს კინაღამ მშიერი მოკვდა: ყური არავინ ათხოვა მისს მოძღვრებას. მეორემ, ბენნეტმა, აქცია თავისი გაზეთი ცნობის ფურცლად და შეიძინა 650,000 ხელის მომწერი. აურებელ რიცხვს განცხადებისას ჰბეჭდავდა, რომლის საშოვნელად კაცები ჰყვანდა დაქირავებული, რომელნიც დარბოდნენ მთელს ქალაქში და განცხადებას შოულობდნენ. ამისი შვილი გარდონი ახლა ყიდულობს ფულით ფრანგების ნიჭს. ჯერ-ჯერობით მიჰყიდეს თავისი ნაწერები ბურჟემ და როშფორმა.

ბენნეტს მოქიშპენი ბევრი აღმოუჩნდნენ და შეიქმნა გაცხარებული ძებნა ახალ ამბებისა. ახლა კარგ გაზეთად ითვლება ის, რომელიც დროზედ და ბევრს ახალ ამბებს აწვდის მკითხველებს. აზრებსა და იდეებს არას დაგიდევენ.

გაზეთის საშუალებით დიდი საქმეები კეთდება ამერიკაში; ამიტომ საზოგადოება აღარ უცდის რეპორტერს, თვით მიდის რედაქციაში და აძლევს ახალ ამბებს თავის თავის შესახებ. გახშირდა ძალიან განცხადება-რეკლამა. რედაქციის უპირველესი წადილია, კოხტად დაწერილის ახალის ამბით ააყაყანოს ხალხი, დაბადოს მითქმა-მოთქმა. მაშინ გაზეთი გადის, ბლომად იყიდება.

ამერიკელების ფიქრით, ყოველი საქმე მაშინ წავა კარგად, როდესაც მას გაფოთებული და გაფთრებული ეცემი. ნელ-ნელა, დინჯად საქმის წარმოება არ, უყვას. ვსთქვათ ამერიკელმა გახსნა პაპიროსის ფაბრიკა. ის ყოველ ღონეს იხმარს, რომ მსწრაფლ შეატყობინოს ეს ყველას. ამისათვის ის ჩასხამს უცნაურს ეტლში სულელურის ტანისამოსით გამოწყობილს მუზიკანტებს და დაავლევინებს ყველა ქუჩებს. ეტლი შემკულია მრავალის ბაირაღებით, რომლებზედაც დაბეჭდილია ათას ფერად განცხადება ,,პაპიროსების ახალის ქარხნისა''. ვსთქვათ, მეორემ განიზრახა ახალის პიესის თამაშობა თეატრში. ჰკრებავს უშველებელის ტანის მუშებს, აცმევს ტანს თეთრ ტომარებს განცხადებით და ატარებს ასე ქუჩებში.

ისევე იქცევა ამერიკელი მეგაზეთეც. უკანასკნელ დროს ისე გააიაფეს გაზეთი, რომ ჩვენებური კაცი ვერც-კი წარმოიდგენს. 15 ფურცლიანი ნახატებიანი გაზეთი ღირს 4 კაპიკი ნომერი. თვითო გაზეთს ჰყავს მთელი ჯარი რეპორტერებისა, რომელნიც გაფანტულნი არიან მთელ დედამიწის ზურგზედ.

(შემდეგი იქნება.)

* * *

ლი დასაფქვავად იორზე (გარეთ-კახეთში) ჩამოეტანა, ხოლო იქიდან გასასყიდად ტფილისში. ამასთანავე დაუმატა ქიზიყელმა მოვაჭრემ: რაჭაში თრიმლების მახლობლად კაცმა წისქვილი რომ გამართოს, დიდს სარგებლობას ჰნახავსო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ყველა ზემოთ ნათქვამი უეჭველია, ასეთი გამჭრიახი და მოხერხებული ხალხი, როგორიც რაჭველები არიან, მალე უპატრონებენ ბუნებისაგან მოცემულს სიმდიდრეს.

იქნება ზოგიერთმა არც-კი იცოდეს, თუ რისთვის ხმარობენ ამ მცენარეს, ამიტომ აქვე უნდა მოვახსენო ამისთანა პირებს, რომ თრიმლი იხმარება ტყავების გასაკეთებლად. სამოგვესა და საძირეს შეღებვამდის ყვითელი ფერი რომა აქვს—ეს ამ მცენარის ფერია.

ქიზიყის ბუნების სიმდიდრით, როგორც ყოველთვის, სიღნაღელი ვაჭრები სარგებლობენ და არა ისინი, რომელნიც ჩვენებურს ველ-მინდორში სხედან—გლეხობა—თავიანთის მოუხერხებლობით. ეხლა ისე სახეირო აღარ არის თრიმლით ვაჭრობა, რადგანაც მთავრობა იჯარით სცემს ამ ჯაგნარს და რომლისაგან წელიწადში ორას-სამასი თუმანი შემოსდის,—მაგრამ წინათ, როდესაც ვისიმე დაუკითხავად, ან არა და სულ მცირე ხარჯით აუარებელს თრიმლსა ჰკაფავდნენ, ბევრმა გაისქელა ჯიბე. ამ უკანასკნელს წლებში თრიმლის მჭრელს მუშებს 15 30 მან. ჯამაგირი ჰქონდათ თვეში, ამასთანავე ფეხთ-საცმელი და ჭამასმა მოიჯარადრებისა იყო.

ი. გ—რი

⁂ **ს. ვეჯინი** (კახეთი). **პანაშვიდი თავ. ი. აბაშიძეზე.** 12 აგვისტოს, კახეთში სოფ. ვეჯინის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადაიხადეს წირვა-პანაშვიდი თავ. იოსებ აბაშიძის სულის მოსახსენებლად. წირვაზედ და პანაშვიდზედ დაესწრნენ: გარდაცვალებულის მშობელი დედა თავის ქალებით და ნათესავებით. აგრეთვე გარეშე პირნი თავადები და გლეხებიც დაესწრნენ. წირვაზედ შესაფერი და საგრძნობელი სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა მღვდელმა თომა ასათიანმა. დიდის ქებით მოიხსენია. თავ. ი. აბაშიძის გმირული სიკვდილი და სთქვა, რომ მხოლოდ საქართველოს მკვიდრთ შეეძლიანთ ასეთი საოცარი მამაცობა. სხვათა შორის, ის აზრიც გაატარა, რომ აწინდელ დროში თავდებში იშვიათი მოვლენაა მტრებზედ გალაშქრებაო, მაშინ, როდესაც, ერთმანერთს ექიშპებიან, სიმამაცეს და გმირობას ერთაშორის ჩხუბში იჩენენო და არა გარეშე მტრებზედაო...

დამსწრე.

⁂ **ს. ახალ-ქალაქი** (ქვემო ქართლი). **აქაური რამე-რუმე.** სოფელი ახალ-ქალაქი ძველად ქალაქი ყოფილა, მაგრამ იმისი მტრებისაგან აოხრების შემდეგ, აქ ისევ დასახლებულან მცხოვრებლები და დაურქმევიათ მისთვის ახალ-ქალაქი. თითონ ახალ-ქალაქი იმდენი არაფერია, მაგრამ მისი ზემო ნაწილი-კი, სადაც უუგანათლებულესი თავადნი გრუზინსკები სცხოვრობენ, მეტად შესანიშნავია თვისის ჰავით და მდებარეობით.

ბატონიშვილების კარ-მიდამოზე კოკის-პირულად გადმოჩახჩახებს სასმელად მეტად მსუბუქი წყარო, რომელსაც ქორთას ეძახიან. ეს წყარო, როგორც მიამბეს, სამას თუმნამდე დასჯდომიათ ბატონიშვილებს. ბატონიშვილების ოჯახში ამ ჟამად დღეგრძელად ბრძანდება 110 წლის მოხუცი ქნეინა, რომელიც ჩიხტი-კოპით რომ ნახოთ მორთული, წმინდანი გეგონებათ, სრულებით არ ეტყობა ისე ღრმად მოხუცებულობა. სოფელი ახალ ქალაქი თავ. თარხნიშვილების სოფლად ითვლება. ამ სოფლის მცხოვრებელნი მიწისა და ღვინის მოქმედების მიმდევარნი არიან. აქაურებს ღვინო მეტის-მეტად უყვართ, როგორც ამტკიცებს ამას შემდეგი თქმულებაც: „ნოსტური ბიჭი მგელსა ჰგავს, ახალციხური ტურასა, ერთაწმინდული ბიჭები აფხაკუნებენ გუდასა, ახალ-ქალაქელი ბიჭები არაკრაკებენ გუდასა!“

ახალ-ქალაქისა და მისი მიდამო სოფლების შესახებ სხვა თქმულებაც არსებობს: „ახლო-ახლო ხართ სოფლებო: ხობო, ქეტეხო, ნიაბო, მოშორებით ხარ ჩოჩეთო, ახალ-ქალაქო ქვიანო!“ თითონ ახალ-ქალაქი-კი არ არის ქვიანი, არამედ მისი ზემო ნაწილი, რომელსაც გარიყულა ჰქვიან.

გარიყულაზე ვეებერთელა ხევია, რომელშიაც წყაროს კარგი დიდი ნაკადულის ოდენა წყალი ჩამოდის, რომელიც ავდრიანობის დროს ისე მოდიდდება ხოლმე, რომ ხევის კიდეებზე მცხოვრებლებს ხვირების ჩაყრა დასჭირდებათ ხოლმე. ხსენებული ხევის წყლისაგან გამოჭამულ ხვრელებში ხშირად პოულობენ აქაურები რომაელი ოქროს ფულებითა და სამაჯურებით სავსე ქილებსა. ძრიელ კარგი იქმნება, რომ არქეოლოგიის მცოდნე პირნი, ზედ-მიწევნით გამოიკვლევდნენ ამ სოფლის ნიადაგს. ახალ-ქალაქში სომხები იმდენივე არიან, თუ მეტი არა, რამდენიც ქართველები.

სომხების მღვდელი ტერ-გალუსტა მეტის-მეტად მხნეობს. მან გააშენა თვისის საკუთარის ხარჯით უზარ-მაზარი სობორო და სკოლა თვისის მშვენიერის ბაღით. კარგი იქნება, რომ მართლ-მადიდებლობის მღვდლებმა მიჰბაძონ მას და სამრევლო სკოლები მაინც გამართონ თავ-თავიანთ ეკკლესიების გვერდზედ.

ახალ-ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში· ნოსტეში, ახალციხეში, გარიყულაში, თეგმის ხევში, ბარნაბიანთ კარში, ფაშიანთში, სორტაში, ნიაბში, ბაბაიანთ კარში და მრავალ სხვა სოფლებში, სკოლები სრულიად არ არსებობს რაღაც გაუგებარის მიზეზით.

მგზავრი.

⁂ **სოფ. სამლთო.** (გურია) **უექიმობა.** საზოგადოდ გურიის სოფლები მეტად შეწუხებულნი არიან უექიმობით და კერძოდ ჩვენ, ფერშალიც კი გვყავდა ახლოს სადმე და იძულებულნი ვიყავით ხოლმე, გაჭირვების დროს ქ. ოზურგეთიდამ მოგვეწვია ექიმი ანუ ფერშალი; ქ. ოზურგეთი 18 ვერსის მანძილზეა ჩვენგან და, რა თქმა უნდა, იქიდამ ექიმის მოწვევა ძვირად გვიჯდებოდა და ამ ხარჯს ვერ უძლებდა ჩვენი შეთხლებული ჯიბე. უბრალო ციების ექიმობისათვის ძროხის ფასად გვიჯდებოდა. ასეთს გაჭირვებაში რომ ვიყავით, აქაურმა აფთექის პატრონმა ბ. თ—მა აღგვითქვა, ჩემის ხარჯით დავიქირავებ ფერშალს და თქვენ იაფად დაგიჯდებათო... რა თქმა უნდა, გაგვახარა ბ. თ—ლის ასეთმა კეთილმა განზრახვამ და დიდი მადლობა მოვახსენეთ მას. მალე მოვიდა კიდეც ფერშალი, მაგრამ ამ ახალის ფერშლის მოსვლით უფრო გაგვიძვირეს ექიმობა და ეხლა აღარ ვიცით ვის მივმართოთ.

სამლთოელი.

⁂ **ს. ნიგოითი.** (გურია) **სამწუხარო შემთხვევა.** ერთის ფრიად-სამწუხარო შემთხვევის მოწამე გახდით ამ დღეებში, რომელმაც ჩემზე და საზოგადოდ ნიგოითლებზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და, ვფიქრობ, არც მკითხველი დარჩება ნასიამოვნები: 30 აგვისტოს, ერთს აქაურს პატივცემულ ინტელიგენტთაგანს გზაზედ დახვდა აქაური გავლენიანი პირის მსახური და, სრულებით უმიზეზოდ, ცოტა გასწყდა კინაღამ მოჰკლა, მაგრამ ბედზე დაუძვრა ხელიდამ და სამკითხველოს მიაშურა. აქაც მოიჭრა მსახურის ბატონი, და მრისხანედ შესძახა შეშინებულს და შეურაცყოფილს კაცს: „სახლში არ მოგვასვენებ და გზაზედაც გვიხვდებიო!“ ამ სიტყვებით მიიმართენ საცემად, მაგრამ აქაც თავს უშველა და გაიქცა უდანაშაულოდ დასჯილი და შეურაცხყოფილი კაცი.

შეიძლება მათ შორის რაიმე ანგარიში იყოს, მაგრამ ასეთი გასწორება და გასამართლება, ყოველს შემთხვევაში, ჩვენის აზრით, შეუფერებელია და არც საკადრისია.

დღიური მუშა

⁂ **სოფ. ნატოჩაო.** (სამეგრელო) **უთავბოლო მონადირეები.** აგვისტოს 22, ადგილობრივი მღვდელი მ. სიმონ კალანდარიშვილი თავის ყანების დასათვალიერებლად წასულიყო, შესულა თუ არა სიმინდებში, ამ დროს თოფი "გავარდნილა და კინაღამ მღვდელი მოეკლათ. ესენი ყოფილან მონადირე პატარა ფრინველებისა და როდესაც მღვდელს ეთქვა ნადირობაში დიდი სიფრთხილე გმართებთო, ამათ ეთქვათ, ჩვენ უკეთესად ვიცით, სად არის საჭირო სიფრთხილეო. ეს ვაჟბატონები არიან ახალ-სენაკის ეგრედ წოდებული „ინტელიგენტები“. რაღა დროის მეძებარ-ძაღლებით ნადირობაა, როდესაც საწყალ მუშა-კაცის სისხლით მორწყული ყანები უამისოდაც ვერაფერს მოსავალს პირდება· არავის ნება არა აქვს სხვის მამულში უმოწმობოთ ინადიროსო თუ პატრონისაგან ნება-რთვა არა აქვს. ამასთან, რა თქმა უნდა დახნულ დათესილ ყანებში სრულიად ნება არ ეძლევა ნადირობისა.

ჩვენში მიწის პატრონს ვინ ჰკითხავს, უმოწმობოთაც დაეხეტებიან. მოწმობას თქვენი ჭირი წაიღოს და ჩიტებსაც, ოღონდ ადამიანი არ იმსხვერპლონ. ფრიად საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამ დროით მაინც მიაქციონ ნადირობის მოტრფიალე ვაჟბატონებს ყურადღება და ჩააგონონ ნადირობის წეს-რიგი.

ტელეფონი.

⁂ **დ. ყვირილა** (იმერეთი) **უექიმობა.** უექიმობით შეწუხებულნი ვართ; გვყავს ერთად-ერთი მაზრის ექიმი, რომელსაც თავის სამსახურის გამო იმდენი მოვალეობა აქვს, რომ ჩვენთვის თითქმის ვეღარც-კი იცლის და თუ ცოტა მოიცალა, მაშინაც იმდენი ავადმყოფები აწყდება ხოლმე, რომ სანახევროდაც ვერ გასწვდება. ექიმი მაშინ არის საჭირო, როდესაც კაცს მისი დახმარება სჭირია და ექიმის დახმარება შეღავათს მაშინ მისცემს ავადმყოფს, როდესაც დროზე მიეშველება, თორემ ეხლა ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ ექიმს ავადმყოფმა უნდა რამდენიმე დღე უცადოს.

ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენმა ახალგაზდა ექიმებმა, რომელნიც, ღვთით, ბლომად გვყავნან, ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას... თვით მაზრის ექიმისათვის შეღავათი იქნება და სოფელსაც დიდს სამსახურს გაუწევენ, თუ ჩვენს მაზრაში გაიჩენს ერთ-ერთი მაინც ბინას. რაც შეეხება მათს სარგებლობას და შემოსავალს, ეჭვი არ არის, დიდი ექნებათ.

სერაპიონ.

⁂ **დ. სამტრედია. საბანძურე ქუჩებისა.** ამას წინად „ცნ. ფურც.“ მოხსენებული იყო სამტრედიის ქუჩების სიბინძურე. მართლადაც, აქაური უწმინდურება სწორედ საარაკო რამ გახდა—უწმინდურების მიზეზი სულ აქაურის ვაჭრების ღორები გახლავთ!.. ბ-ნმა ქავთარაძემ აქ ბოქაულად ყოფნის დროს განკარგულება გასცა, ღორები არ ჰყოლოდათ ვაჭრებს და უკეთუ არ გაიგონებდნენ ამ განკარგულებას, იმ შემთხვევაში ღამის ყარაულები დახოცავდნენ, რის გამო ცოტა სისუფთავე დამყარდა და იმ ხანებში ღორებიც აღარ გვინახავს ქუჩებში; ხოლო ეს რამდენიმე ხანია ისევ ძველებურს წესზე იქცევიან მოვაჭრენი: ღორებით აივსო ქუჩები, თუმცა სამტრედიის ახლანდელი ბოქაული ბ-ნი ქელბაქიანი ყოველს ღონისძიებას ხმარობს ღორების მოსასპობლად, მაგრამ, არ იქნა, არაფერი ეშველა.

აქაური ღამის ყარაულები, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან უწესოდ იქცევიან. დღე და ღამ დროს ატარებენ ლხინითა: დაღამდება თუ არა, ყავახანებში გაისმის „ხასანბეგურა“, „ალიფაშა“, „ინდი-მინდი“ და სხვა სიმღერები; ღამის ხორო შეადგინონ და კონცერტები გაჰმართონ... ვინ ამბობს, სიმღერა კარგი რამ არის, მაგრამ ნათქვამია: „ჭირვეულობაც რიგით უნდაო“. ყარაულობის დროს სავალდებულოა ყარაულობა და არა „ინდი-მინდის“ მოძახილი.

ვ. ხ. ს.

⁂ **დ. აბაშა** (სამეგრელო). **ახალი დარგი მეურნეობისა—ბამბის მოყვანა.** დ. აბაშაში აგერ მეხუთე წელიწადია, რაც გულ და გულ მოკიდეს ხელი ადგილობრივ მცხოვრებლებმა მეაბრეშუმეობას. ეს კეთილი და სასარგებლო საქმე პირველათ დაარსა აბაშაში ადგილობრივმა მცხოვრებმა გიორგი გიტასძე ცომაიამ, მან მოიტანა საზღვარ გარეთის აბრეშუმის თესლი და გაავრცელა აბაშაში, მისი წყალობით ერთის მხრით ძალიან წინ წაიწია აბაშის საზოგადოება, როგორც ფულის შეძენით, ისე გამრჯელობით და შრომის მოყვარეობით.

ეხლა ამ პატიოსანმა პირმა მოიყვანა განვითარებული და მცოდნე მიწის გამსინჯავი, რომელმაც სამეგრელოს მიწა ძალიან მოსავლიანად სცნო ბამბის მოსაყვანად და, უკვე ხსენებულმა გიორგი ცომაიამ გამოიწერა საგანგებო ბამბის თესლი ამერიკიდგან და სურს ამითაც წინ წასწიოს ადგილობრივი მეურნეობა, ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

აქაური მცხოვრებლები მისჩერებიან მარტო სიმინდს და ხან მოუსავლობა ღუპავს და ხან უფასობა. თუ მართლა კარგი მოსავალი ექმნა ბამბას სამეგრელოში, სწორედ კარგ მერმისს უნდა მოველოდეთ. იმედია ადგილობრივნი მკვიდრნი ეცდებიან შეიძინონ ბამბის თესლი და მით კიდევ ისახელონ თავი, როგორც აბრეშუმის მოყვანაში, მეტადრე, როგორც მანდილოსნებმა ისახელეს თავი მრავალი დარაიების ქსოვით და შრომის დაუზარებლობით!.

მოსულ ბამბას, თურმე, თითონვე თესლის გამყიდველი ბ-ნი ცომაია ყიდულობს და ესეც კარგი საქმეა. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ სამეგრელოში ბამბის მოყვანას და მისგან სარგებლობას დიდი ნიადაგი ექნება თუ კი ერთგულად მოჰკიდებენ ხელს ამ ახალს დარგს მეურნეობისას.

ბან—დონ.

⁂ **სვანეთი. მერძეობის სკოლის შესახებ.** ამას წინედ „ცნობ. ფურც.“ იყო დასტამბული, რომ ბ. მეურნეობის მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში მიანდო აგრონომს ფირალოვს ადგილობრივად გამოიკვლიოს სვანეთში მერძეობის სკოლის დაარსების საქმეო. როგორც შევიტყეთ, ბ. ფირალოვს სვანეთში მიელიან ამ თვეში და უნდა აარჩიოს ალაგი—სად გაიმართოს მერძეობის სკოლა. აქ ხმა დადის, რომ ხსენებული სკოლა ან სოფ. უშხულში და ან მულახში უნდა გაიმართოს. მართალია, მულახი შუა-გული სოფელია სვანეთში, მაგრამ, სამაგიეროდ უშხული უფრო მოხერხებული იქნება სკოლისათვის, რადგან იქ საუცხოვო საბალახოებია, რაიცა აუცილებელი საჭიროებაა მერძეობის სკოლისათვის. რა· თქმა უნდა, ხსენებული სკოლის დაარსებით მთელს სვანეთს სიცოცხლის ელფერი დაედება და მკვიდრთა დაცემული ეკონომიური მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდება. მერძეობა სვანეთში ადვილად გასავრცელებელია და რიგიანს ნიადაგზე დასაყენებელი, რადგან იქ თითქმის ყველგან კარგი საბალახოებია და საქონელიც კარგად ხარობს.

მერძეობის სკოლის გარდა, სვანეთში განზრახვა აქვთ გამართონ სასოფლო სკოლები; უშხულში, კალაში, ლატალში, ბეჩოში და ქუბიხევში;—რათქმა უნდა ეგ კიდევ უფრო სასიხარულო ამბავია, რადგან ამ ჟამად სვანეთში თითქმის სულ არ არის სკოლები და წერა კითხვა ასში—ორმაც-კი არ იცის (K).

⁂ **ოზურგეთი.** (გურია) **მღაშე აბანო.** დიდ ძალი ხალხი აწყდება ჩვენს აბანოს საბანებლად, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ აბანოს

მმართველებს სრულებით დავიწყებიათ, რომ საქმეს რიგიანად მოწყობა უნდა; დალოცვილები ფულს გვახდევინებენ და სიამოვნებას კი ვერასა ვხედავთ: ახირებულია ერთსა და იმავე აუზში 100—200 კაცის ბანაობა.

იმედი გვაქვს და ურიგოც არ იქმნება, რომ მომავალში მაინც მიაქცევს ყურადღებას ვისიც ჯერ არს და ამ აბანოს, რომლის საჭიროება და სარგებლიანობა, ყველას გვრწამს, სასურველად გააუმჯობესებს.*)

ერთი მონაწილეთაგან.

⁂ **სოფ. ბააჩა.** (აფხაზეთი) სალოცავი და ახირებული წყარო. აქაურის აზნაურის კვ. წივბაიას მამულში აღმოჩნდა საუცხოვო წყარო. ამ გარემოებამ ძრიელ გაგვახარა, რადგან, ცოტა არის, უწყლობით შევიწროვებულნი ვიყავით; დაუყონებლივ გავკაფეთ გზა, წყარო ამოვასუფთავეთ და დავიწყეთ წყლის ხმარება. ერთს საღამოს ორი ქალი მოვიდა წყლის ამოსაღებად ამ წყაროსთან და როდესაც ჰურჭლები აავსეს, მხარზე გაიდვეს და სახლში დაბრუნება დააპირეს, ერთს მათგანს უკანიდამ ქვა მოარტყა ვიღამაც; საბრალო ქალი იმდენად შეშინდა, რომ ჰურჭელი მხრიდამ გადმოუვარდა და თითონ გულ-შეწუხებული დაეცა ძირს. მეორე ქალმა რომ დაინახა ეგ, მორთო ყვირილი, შეიკრიბა ხალხი და ადგილობრივი მამასახლისი; გულ-შეწუხებული ქალი, როგორც იქმნა, მოაბრუნეს და დამშვიდებული წაიყვანეს სახლში, მაგრამ საბრალო დღესაც ლოგინად წევს მძიმე ავადმყოფი და მისს მორჩენას არავინ მოელის. ყველანი ჰფიქრობდნენ ალბად ვინმე მიმალული იქმნებოდა იქვე ბუჩქებში და ეცელქებოდა. გაიარა ცოტა ხანმა და კიდევ რამოდენიმე დედა-კაცი ერთად წავიდნენ წყაროზე. წარმოიდგინეთ, მათაც ეგ შეემთხვათ. გულგახეთქილები მოიჰრნენ სახლში და უამბეს მამ-კაცებს, რომლებმაც, რასაკვირველია, არა-ვითარი მნიშვნელობა არ მისცეს ქალების ნაამბობს მაგრამ მათდა დასამშვიდებლად თითონვე გაემგზავრნენ წყაროზე და მართლაც ქვა არავის უსვრია. ქალები მაინც თავისას გაიძახოდნენ, მაშინ მამაკაცები კარგა დიდ მანძილზე მოშორდნენ წყაროს და მიჰგზავნეს ქალები. გამოვარდა უზარ-მაზარი ქვა და მოხვდა ერთს ქალს. ეხლა-კი მამა-კაცებიც, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ... და მიატოვეს წყაროზე ქალების გზავნა. ერთი მოხუცებული ამბობს, რომ ძველად ეგ ადგილი, სადაც ეხლა წყაროა, საფიც ადგილად გვქონდა, როდესაც ქრისტიანები ვიყავით აფხაზებიო, მაგრამ თათრების ხელში რომ გადავედით და გავმაჰმადიანდით, ამ ადგილსაც დაეკარგა თავისი მნიშვნელობა და თავი მივანებეთო.

აქ დარწმუნებულნი არიან, რომ „წყარო" წმინდანის სავანეა და ვერავინ ჰბედავს მისვლას.

იქმება ბუნების რაიმე მოვლენა იყოს და ფრიად სასურველია, რომ გამოიკვლევდნენ ვისიც ჯერ არს ამ წყაროს, თორემ ცრუ-მორწმუნეობა ისედაც მოდებულია ჩვენში და ესეც კიდევ ახალი ზედ დაგვემატა.

გ. ბ—ძე.

* * *

სასამართლოს მატიანე.

თავ. ნიკოლოზ ამილახვრის მოკვლის საქმე. ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ქ. გორში 3 და 4 ენკენისთვეს განიხილა თავ. ნიკოლოზ ამილახვრის მოკვლის საქმე, რომელშიაც ბრალი დაედვათ აზ. ვლადიმერ ფანიაშვილს და გიორგი კიკნაძეს, ხოლო მესამეს—ესტატე თვარელიძეს, ჰბრალდებოდა დამნაშავეთა დაფარვა.

აი საქმის გარემოება: ქ. გორში წარსულს წელს ცხოვრობდა ერთი ქალი, მაშო დათუაძისა, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ეარშიყებოდნენ და ეტრფოდნენ თავ. ნ. ამილახვარიცა და დამნაშავენიც; ამის გამო მათ შორის ხშირად ხდებოდა ხოლმე უსიამოვნობა; ბოლოს მაშო დათუაძისა გადასახლდა სურამში; ერთს მშვენიერს საღამოს დეკემბერში თავ. ამილახვარი ეწვია მას სურამში, იმავე საღამოს გაიგეს ეგ ამბავი ფანიაშვილმა და კიკნაძემ და ისინიც უკან დაედევნენ თავ. ამილახვარს; 24 დეკემბერს შეხვდნენ გზაზე და აუტეხეს ჩხუბი, მაგრამ ხალხმა გააშველა; 25 დეკემბერს გორის სადგურზე დახვდნენ ამილახვარს; პირველად ფანიაშვილმა ესროლა რევოლვერი და თავ. ამილახვარი უსულოდ იქვე დაეცა, მერმე კიკნაძემაც დაცალა რევოლვერი; იქვე მყოფს ვასო ვეტლიშვილს მოუნდომნია მათი შეპყრობა, მაგრამ კიკნაძეს ორჯერ დაუხლია რევოლვერი და ვეტლიშვილიც იქვე წაქცეულა—მარცხენა მხარში მოხვედრია ტყვია.

იმ ღამესვე შეიპყრეს ფანიაშვილი და კიკნაძე თვარელიძის სამიკიტნოშიო

ფანიაშვილმა და კიკნაძემ დამნაშავედ არ იცნეს თავი და სთქვეს, რომ თავ. ამილახვარი და მისი მსახური დაგვიხვდნენ გორის სადგურზე და ცემას გვიპირებდნენ, ჩვენ თავის საშველად და მათდა შესაშინებლად დავცალეთ რევოლვერი, ხოლო არავისი მოკვლა არ გვინდოდაო. თვარელიძემაც თავი იმით იმართლა, რომ სრულებით არ ვიცოდი, თუ ფანიაშვილი და კიკნაძე იმ ღამეს ჩემს სამიკიტნოში იყვნენო.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ფანიაშვილი და კიკნაძე და მიუსაჯა მათ ყოველივე ღირსების ახდა და კატორღაში გაგზავნა, პირველს—13 წლით და მეორეს—9 წლით. თვარელიძე კი გაამართლა.

* * *

სამეცნიერო ამბები

უცნაური ავადმყოფობა ასოების თვლისა. ბორდოს ფიზიოლოგიურ საზოგადოების სამკურნალოში იმყოფება ერთი საინტერესო ავადმყოფი კაცი.

დიდი ხანია ეს კაცი იტანჯება უცნაური სენით; თავის სურვილის წინააღმდეგ ნება უნებლიედ ეს კაცი ყოველ გამოთქმულ აზრის და სიტყვების ასოებსა თვლის; თვლის მაშინაც, როცა წერს, ფიქრობს, ან ლაპარაკობს. უცნაურ ავადმყოფს და დიდი სურვილი აქვს, დაანებოს თავი ამ უმნიშვნელო თვლას ასოებისას, მაგრამ საწყალი ვერას გზით ვერ ახერხებს. ათი წლიდგან სულ ასოების თვლაშია და ეხლა-კი 27 წლისაა. საკვირველი უფრო ის არის, რომ ეს განუწყვეტელი თვლა ასოებისა არ აწუხებს მას; დაელაპარაკებით თუ არა, მაშინვე მოგახსენით,—რამდენი ასო გამოთქვით. როცა არავინ ელაპარაკება, ის მაინც თავისთვის ფიქრობს და თვლის. ზოგიერთი რიცხვები ძალიან მოსწონს მაგალ. 32, ძალიან ეჯავრება 13 რიცხვი.

ამისდა მიუხედავად ეს კაცი თავისუფლად კითხულობს და ლაპარაკობს. ალბად ერთგვარი სიგიჟე უნდა იყოს.

* * *

საოჯახო რჩევა-დარიგებანი

ნადირობა ბალინჯოზე. ძლიერ შემაწუხეს წრეულ ღამის რაინდებმა. ჩავაქრობდი თუ არა სანთს, ჯგუფ-ჯგუფად გამოილაგებოდნენ თავის სოროდგან და დინჯად გამოსწევდნენ ჩემსკენ: მთელს ღამეობით მოსვენებას არ მაძლევდნენ. ბევრი ვეცადე: „უდროვო სტუმრობა ნუ იცით-მეთქი, ბევრი ვემალე კიდეც, მაგრამ ვერაფერი გავაწყერა. ბოლოს იძულებული შევიქმენი დაუპატიჟებელ სტუმართათვის ომი გამოეცხადნა, ომი სასტიკი თვით-არსებობისათვის. გაგონილი მქონდა რომ ერთი ნაწილი ქაფური (Comphora raffinata) სამი ნაწილი ნავთი (ol. petrum comm.), რუსული გაუწმენდელი სკიპიდარი (ol. Terabinthinum Rass:) და ბენზინი (Benzin)— ერთად შეზავებული მუსრს ავლებს ხსენებულ მწერთა. შევამზადებინე აფთიაქში ხსენებულ რეცეპტით წამალი, შევიძინე შესაშხაპუნებელი (პულვერიზატორი) და შეუდექი ომს და ლაშქრობას, ვერ ვიტყვი, რომ ჩემს შრომას უნაყოფოდ ჩაევლოს: ბევრი გაბრუვე, ბევრს ჩამოვაცალე მხარი—სამუდამოდ დავასახიჩრე, მაგრამ სული ვერ ამოვართვი, მათი გვარობა ფესვიანად ვერ ამოვაგდე. ომში სასიკვდილოდ დაჭრილი მეომარი იკრებს ძალღონეს, რომ უკანასკნელად რაიმე ზიანი მისცეს მტერს და გახარებული კვდება თუ მიზნს მიაღწია. ჩემ მიერ დასახიჩრებულნი თითქოს აღივსნენ შურის ძიებით და გამწარებით შემომიტიეს. დავღონდი... რა მექნა, არ ვიცოდი... გამოუვალ ყოფაში ვიყავი, შემოვიდა ჩემთან ერთი მეგობარი. შევჩივლე მას ჩემი უბედური მდგომარეობა. მან ხალვათად პასუხისა გადმომიგდო უბის წიგნი და ერთს ფურცელზედ მიმითითა. მე ამოვიკითხე: „ღამის რაინდების საბრძოლველ იარაღი".

Lyzol	60,0
Acid. corbolicum liq. f.	30,0
Aq. communis	400,0

—„აი საშუალება, დასძინა ჩემმა მეგობარმა, ამის გაკეთება შენც შეგიძლია. 16 მისხალი ლიზოლი, 8 მისხალი დაწმენდილი კარბოლის სიმჟავე ჩაასხი ბოთლში და ზედ ჩაუმატე ორ-ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი დაანჯღრიე სანამ არ გაიქნება. წამალიც მზად იქნება. მე დავესწრები ნადირობაზედ და როგორ უნდა ხმარება თვითონ განჩვენებო. დანიშნულ დროისთვის წამალი შევამზადე, მეგობარიც მოვიდა და თან შესაშხაპუნებელიც მოიტანა. მივაგენით მტერთა თავ-შესაფარს და შევაშხაპუნეთ ფრთხილად, რომ წამლის წვეთები თვალში არ მოგვხვდომოდა. ადგა ერთი ალიაქოთი. მწერთ დავთარი დაებნათ და უგზო-უკვლოდ გარბოდნენ, მაგრამ ჩვენი ულმობელი ტყვია-წამალი მათ ყველგან ეწეოდა და უმნელებდა დღეს. გავიმარჯვეთ სახელოვანად... სამჯერ ვსცადე ეს საშუალება ჯერ-ხნობით და თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ჩემს მიდამოში მათი ჭაჭანებაც სრულებით არ ისმის—დიოგენის ფარნით რომ ეძიოთ ერთსაც ვერ იპოვით....

ამ უებარ წამალს ვურჩევ ყველას ბალინჯოებისაგან შეწუხებულთა.

დონ-ბაზილიო.

* * *

სხვა და სხვა ამბები

ხელმწიფე იმპერატორის ვარშავაში ყოფნის დროს მათ უდიდებულესობათა სახელზედ 30,000 თხოვნა მიურთმევიათ. ვარშავის გაზეთები იუწყებიან, რომ მათ უდიდებულესობათა იქ ყოფნის დროს თვით ქალაქის მკვიდრთაგან შემდგარა წესიერების დამცველთა წრე, რომელნიც საუცხოვოდ ასრულებდნენ ნება-ყოფლობით კისრებულს მოვალეობას. მიუხედავად იმისა, რომ აუარებელი ხალხისაგან ქუჩა-მოედნებზე ტევა არ იყო, მაგრამ ბრბოს თავაზიანობას საზღვარი არა ჰქონდა, წესიერების დამცველისათვის სრულებით საკმარისი იყო ხოლმე მცირე ნიშანი მიეცა ამოდენა ხალხისათვის ან სიტყვა „გთხოვთ" ეთქვა და მთელს ქუჩაზე წესიერება სუფევდა.

თუმცა ვარშავის ქუჩაზე იმ დღეებში საშინელი სივიწროვე იყო და აუარებელი ხალხი აწყდებოდა, ერთი უბრალო უსიამოვნობაც-კი არ მომხდარა. ასე გასინჯეთ, თვით პოლიციელნიც-კი ხშირად ამ „წესიერების დამცველთა" სთხოვდნენ წესიერების დაცვაში დახმარებას.

ყოველივე ეს გვიმტკიცებს, რომ პოლონელნი მეტად ზრდილნი არიან, თითოეული მათგანი ჯეროვანს პატივს სცემს მეზობელს და საზოგადოდ ადამიანის ღირსებას და აგრეთვე იმას რომ პოლონელნი მეტად განვითარებულნი არიან, როგორც გრძნობა-გონებით აგრეთვე ხასიათით და ეს გარემოება, რასა თქმა უნდა, პოლონელთ შედარებით სხვა ქვეყნის ხალხთან ძრიელ მაღლა აყენებს.

---

*) ჩვენის აზრით აბანოს მეპატრონენი ქალაქს, რომ მოურიგდნენ და შეღავათიან ფასად მიჰყიდონ, ბევრად უკეთესი იქმნება: ქალაქი კი ამ საქმეს უკეთ გაუძღვებოდა და მუდმივი შემოსავლის წყაროდ ექნებოდა. რედაქ.

განცხადებანი

რედაქციისაგან.

შეღავათიანი განცხადება

„ცნობის ფურცლის" რედაქცია იმ პირით, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ. (ორი შაურის მაგიერად) და უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ. (შაურის მაგიერად).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 30 ენკენისთვეს, ამ წლისას ქალაქის გამგეობის შენობაში, ერევნის მოედანზე ქალაქისვე შენობაში გაიმართება საჯარო ვაჭრობა იჯარით გაცემაზე ავლაბრის სააგარაკო სამოვარი ადგილისა ზომით 1829 დესეტინა და 460 ოთხ-კუთხი საჟენი, იჯარის ვადა სამი წლით არის 1898 წლის პირველ იანვრიდგან. (3 – 1)



სასტუმრო და ბუფეტი

იუჟნი ნომრები

ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის გვერდზედ, ბარონის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში, № 14.

სასტუმროს აქვს 35 სუფთად მოწყობილი ნომერი, დღიურად 50 კაპ., ვიდრე 3 მანათამდე, თვიურად ნაკლებ.

ბუფეტში სადილი ქართული და ევროპიული

ეზოში ჩანებული ბაღი

სადილი, ორის თავის საჭმლიდგან შემდგარი 30 კაპ.; სასმელები ყველანაირი და იაფად.

მუდამ-ჟამ ცოცხალი თევზი

შეიძლება სადილი სახლშიაც დაიბარონ თვიურად 8 მანათად და მეტად.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სამზარეულოს, რომ საჭმელი მზადდებოდეს სუფთა და ახალის სანოვაგისაგან.

სასტუმროს აქვს სტუმართ გასართობად ორი ბილიარდი: საათში დღისით 20 კაპ., ღამე 30 კაპ.

პატივის-ცემით ი. დ. აბრამიშვილი.

(24—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Сентября 1897 г.

სტამბა ქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია